პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიუროს, რექტორატისა და პროფკომის ორგანო

ოთხშაბათი 1 მაისი 1939 წ.
№ 15 (157)

ფასი 5 კაპ.

ჟ3 N 3241.

## გაუმარჯოს პირველ მაისს!

საერთაშორისო პროლეტარიატი 1939 წლის პირველ მაისს მე-50 ჯერ დღესასწაულობს.

პირველი მაისი საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო ძალებისა და საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერების დღეა. ამ დიად დღეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი თავის ბატალიონებს რაზმავს კაპიტალიზმისა და პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პირველი მაისი სსრ კავშირის მშრომელთათვის არის გამარჯვებული სოციალიზმის დღესასწაული, მიღწეულის დათვალიერებისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის მობილიზაციის დღე.

უუფლებობა, გაყვლეფა, უმუშევრობა, სიღატაკე, შიმშილი — აი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ხვედრი. ახალი კრიზისის შედეგად უმუშევრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში კვლავ გაიზარდა 18 მილიონ კაცამდე.

საბჭოეთის ქვეყანაში **ლენინ-სტალინის** პარტიისა და დიდი **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით გაიმარჯვა სოციალიზმმა. სოციალიზმის გამარჯვებამ შექმნა მძლავრი მატერიალური პირობები კულტურული და საამური ცხოვრებისათვის.

„ექსპლოატაციის მოსპობამ და სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სისტემის განმტკიცებამ, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი** პარტიის XVIII ყრილობაზე, — ქალაქად და სოფლად უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღატაკის არარსებობამ, მრეწველობის უდიდესმა გაფართოებამ და მუშათა რაოდენობის განუწყვეტელმა ზრდამ, მუშათა და კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ზრდამ, კოლმეურნეობებზე მიწის სამუდამოდ მიმაგრებამ და პირველხარისხოვანი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების უდიდესი რაოდენობით კოლმეურნეობათა მომარაგებამ, — ყოველივე ამან შექმნა რეალური პირობები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი ზრდისათვის. მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი ბუნებრივად მოჰყვა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ინტელიგენციისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ძალას და მომსახურეობას უწევს მუშათა და გლეხთა ინტერესებს".

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარმატებანი თავზარდამცემია კაპიტალიზმისათვის, ამიტომ ფაშისტი ომის გამჩაღებლები პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ემზადებიან, მაგრამ ერთი წუთითაც თუ გაბედეს წითელ საზღვრების დარღვევა, მაშინ ისინი მიიღებენ ისეთსავე გამანადგურებელ პასუხს უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელი არმიისა და წითელ საზღვაო ფლოტისაგან, როგორიც მიიღეს იაპონიის ფაშისტებმა ხასანის ტბასთან.

დიდი **სტალინის** პირველ დაძახებისთანავე საბჭოთა კავშირის 170 მილიონიანი ხალხი მზად არის მტრების ხელყოფისაგან საკუთარი მკერდით დაიცვას ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი. ეს კი მტკიცედ უნდა დაიმახსოვრონ ფაშისტ-აგრესორებმა და მათმა აგენტებმა.

**ლენინ-სტალინის** პარტიამ სასტიკად გაანადგურა რა ხალხის ყველა ჯურის მტრები კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავის რიგები სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** გარშემო.

ახლა ჩვენ გვაქვს უდიდესი ისტორიული დოკუმენტი ამხანაგ **სტალინის** მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე და ყრილობის გადაწყვეტილებანი — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი პროგრამა. ჩვენი ქვეყანა **სტალინის** მიერ ნაჩვენები გზით მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვებანი უდიდესი გაკვეთილია მსოფლიოს მშრომელთათვის და დღეს თუ ხვალ დადგება დრო, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატი სამუდამოდ გაანადგურებს მჩაგვრელ კლასებს და დაამყარებს მშრომელთა თავისუფლებას.

**ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა. მუშებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა ინტელიგენციავ! იბრძოლეთ ამ გეგმის შესრულებისათვის!**

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო ლოზუნგებიდან.



# პირველი მაისის 50 წლისთავი

ვ. ფლორინი

50 წლის წინათ, 1889 წელს, სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე პარიზში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოეწყოთ 1890 წლის 1 მაისს ყველა ქვეყანაში მუშათა საერთაშორისო მანიფესტაცია და მოეთხოვათ 8 საათის სამუშაო დღის დაწესება ყველგან.

ეს პირველი შემთხვევა იყო ისტორიაში, როდესაც ჩაგრულთა კლასს ერთსადაიმავე დღეს უნდა წაეყენებინა მოთხოვნა მჩაგვრელთა კლასისათვის. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" მოწოდება — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" — მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის ლოზუნგად გადაიქცა.

პარიზის კონფერენციამ გადასწყვიტა საპირველმაისო მანიფესტაცია ჩაეტარებინა მხოლოდ 1890 წელს. მაგრამ მასებმა 1 მაისი თავის მუდმივ საბრძოლო დღედ გახადეს და მისცეს მას საბრძოლო ხასიათი გაფიცვებით, მოქმედებდნენ რა სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირთა ბევრი ოპორტუნისტი ლიდერის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

1 მაისის დღესასწაულის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას 1889 წელს ყველა ქვეყანაში მუშები ენტუზიაზმით შეხვდნენ. მუშათა ორგანიზაციებმა ყველგან იწყეს ბრძოლისათვის მზადება. ბურჟუაზია პანიკურმა შიშმა მოიცვა. მსოფლიოს ყველა ქალაქში მობილიზებულ იქნა პოლიცია და ჯარები. მთელ რიგ ადგილას საქმე მივიდა სერიოზულ შეტაკებამდე, რაც მუდამ მეორდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში შემდგომი 50 წლის მანძილზე.

1890 წლის 1 მაისი საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი წარმატება იყო. ცალკეულ ქვეყნებში დაშვებული შეცდომების მიუხედავად, მსოფლიო პირველად გახდა მუშათა კლასის საერთო საერთაშორისო გამოსვლის მოწმე.

მოძრაობა ყველაზე მძლავრი იყო ავსტრიასა და საფრანგეთში. გერმანიაში მუშები გაფიცული იყვნენ ბევრ ქალაქში.

საფრანგეთში საპირველმაისო მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1905—1906 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ საგანგებო ზომებს მიმართა, 1906 წლის 1 მაისს პარიზის 150 ათასმა მუშამ მოაწყო დემონსტრაცია და წამოაყენა თავისი მოთხოვნები. მუშათა ნაწილმა გაფიცვა 1 მაისს დაიწყო, ნაწილმა კი — რამდენიმე დღის შემდეგ. გაფიცვა წარმატებით დამთავრდა. საპირველმაისო გაფიცვის იდეა პოპულარული გახდა და შემდგომ წლებში საფრანგეთში ჩატარდა მთელი რიგი გაფიცვები.

რუსეთის მუშათა ახალგაზრდა მოძრაობა დიდი ენტუზიაზმით იღებდა მონაწილეობას საპირველმაისო მოძრაობაში. რუსეთის მუშათა მოძრაობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხარკოვის მუშათა დიდმა შეტაკებამ მეფის ხელისუფლებასთან 1900 წლის 1 მაისს. ამის შესახებ ლენინი 1900 წელს სწერდა:

„ზღაპარს იმაზე, რომ თითქოს რუსეთის მუშები ჯერ კიდევ არ მომწიფებულან პოლიტიკური ბრძოლისათვის, თითქოს მათი მთავარი საქმეა წმინდა ეკონომიური ბრძოლა, რომელსაც მხოლოდ ცოტცოტათი და ნელნელა დაემატება ნაწილობრივი პოლიტიკური აგიტაცია ცალკეული პოლიტიკური რეფორმების სასაგებლოდ, და არა რუსეთის მთელი პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სასარგებლოდ,— ამ ზღაპარს გადაჭრით უარჰყოფს ხარკოვის საპირველმაისო დღესასწაული. *)

1 მაისს რუსეთში სულ უფრო-და-უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც საერთაშორისო საბრძოლო დღეს, ისეთ დღეს, „როდესაც ყველა ქვეყნის მუშები დღესასწაულობენ თავიანთ გამოღვიძებას შეგნებული ცხოვრებისათვის, დღესასწაულობენ თავის გაერთიანებას ყოველგვარი ძალადობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, შიმშილისა, სიღატაკისა და დამცირებისაგან მილიონობით მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში." **)

განსაკუთრებით მძლავრი იყო 1905 წლის საპირველმაისო დემონსტრაციები. მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგაც ცხადჰყოფდა რუსეთის პროლეტარიატი 1 მაისს თავის საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობასა და თავის მისწრაფებას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

მსოფლიო ომის დროს გათიშული II ინტერნაციონალის პარტიებმა ომის მონაწილე ქვეყნებში არა მარტო შესწყვიტეს ყოველგვარი აგიტაცია გაფიცვების, საერთაშორისო გამოსვლების სასარგებლოდ, არამედ ებრძოდნენ კიდეც მუშათა ყოველგვარ ცდას ამ მიმართულებით. მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტია, ბოლშევიკთა პარტია განაგრძობდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის სათავეში დგომას და ამხელდა სოციალ-შოვინისტებს.

სოციალ-შოვინისტთა უმაგალითო გამცემლობის ფონზე ლამპარივით კაშკაშებს სახელი კარლ ლიბკნეხტისა, რომელიც 1916 წლის 1 მაისს რევოლუციურ მუშებთან და მუშა ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ბერლინის პოტსდამის მოედანზე გამართულ დემონსტრაციაში ლოზუნგით:

„ძირს მთავრობა! ძირს ომი!".

ომის შემდეგ პირველი მძლავრი საპირველმაისო დემონსტრაცია საერთაშორისო პროლეტარიატმა 1917 წლის 1 მაისს ნახა. პეტროგრადის მუშებმა, რომლებსაც ბოლშევიკების პარტია მეთაურობდა, მოაწყვეს დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგით: „ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ!", „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!".

1918 წლის 1 მაისი პირველად იდღესასწაულეს ჩვენს სამშობლოში როგორც მშრომელთა ოფიციალური დღესასწაული. საბჭოთა მუშები ზეიმობდნენ თავის დიად გამარჯვებას. ძალაუფლება მათ ხელში იყო. ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ რუსეთში განახორციელა ის, რაც უკვე ყველა ქვეყნის პროლეტარიატის დიდი ხნის ოცნება იყო.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა 1920 წლის 1 მაისს. გაჩაღებული სამოქალაქო ომისა და დანგრეული მეურნეობის აღდგენის პერიოდში საჭირო იყო გამარჯვების განმტკიცება. მუშებმა კომუნისტთა ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის მეთაურობით, უდიდესი ენტუზიაზმით ჩაატარეს ეს 1 მაისი, როგორც სრულიად-რუსეთის კომუნისტური შაბათობა.

1 მაისის დღე — ეს საბჭოების ქვეყნის განთავისუფლებულ მშრომელთა დიდი დღესასწაულია. წითელი მოედანი მოსკოვში გადაიქცა ყველა კაპიტალისტური ქვეყნიდან მუშათა დელეგაციების შეკრების ადგილად. 1 მაისს ეს დელეგაციები ცხადჰყოფენ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ურღვევ კავშირს საბჭოთა კავშირთან. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი მუშებს მოუთხრობენ სსრ კავშირის მშრომელთა გრანდიოზული საპირველმაისო დემონსტრაციების ამბავს, ნერგავენ რა მთელი მსოფლიოს მასებში ახალ რწმენას თავისი ძალებისა და თავისი საბოლოო გამარჯვებისადმი.

„სპუტნიკ აგიტატორადან".

*) ლენინი. თხზ. ტ. IV, გვ. 47—48.

**) ლენინი. თხზ. ტ. XXX, გვ. 73.

დოც. ა. მურაჩაშვილი

# 1 მაისობა საქართველოში

1 მაისის დღესასწაულში ადრევე ჩაება რუსეთის ახალგაზრდა მუშათა კლასი. მარქსისტულ-სოციალ-დემოკრატიულ იდეების გავლენის ქვეშ საპირველმაისო გამოსვლები 1891 წლიდან იწყება.

მსოფლიო ბურჟუაზია გააფთრებით იწყებს ბრძოლას პროლეტარიატის საპირველმაისო გამოსვლების წინააღმდეგ. საფრანგეთის პოლიციამ ათეული დემონსტრანტი იმსხვერპლა ქ. ფურმში მოწყობილ 1891 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის დროს. განსაკუთრებით დიდ მსხვერპლს მოითხოვდა 1 მაისის დღესასწაულის ჩატარება რუსეთში. მეფის მთავრობას არაერთხელ და ორხელ მოუწყვია სისხლის ღვრელი შეტაკება 1 მაისის დემონსტრანტ-გაფიცულთათვის (გავიხსენოთ პოლიციის თავდასხმა ობუხოვის ქარხნის მუშებზე 1901 წელს და სხვა).

XIX საუკუნის მიწურულში საქართველოც ჩაება საერთაშორისო მუშათა-სოციალისტურ მოძრაობის ფერხულში. 1897—1898 წლებში მესამე დასის უმცირესობა დიდი **სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე** მჭიდრო კავშირს აბამს საქართველოს მუშათა კლასთან და მასში შეაქვს რევოლუციური სოციალისტური იდეები, ჰქმნის მარქსისტულ-ლენინურ მიმდინარეობას.

ამხანაგი **სტალინი** საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებს ათვითცნობიერებს რაზმავს თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საბრძოლველად. აწყობს პოლიტიკურ გამოსვლებს და გაფიცვებს. **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასი სდგამს ამ ბრძოლის პირველ ნაბიჯებს.

„1898 წელს თბილისში რკინიგზის სახელოსნოში პირველად ეწყობა დიდი გაფიცვა. შემდეგ 1900 წლამდე მოეწყო და ჩატარდა მთელი რიგი დიდი გაფიცვები ბოზარჯიანცის ფაბრიკაში, კონკაზე, ადილხანოვის ტყავის ქარხანაში, სტამბებში და სხვა. მოეწყო აგრეთვე თბილისის მუშათა მთელი რიგი პირველ მაისობანი და დემონსტრაციები".

თბილისისა და საქართველოს მუშათა კლასმა ფართოდ გამოიყენა 1 მაისის პროლეტარული საბრძოლო დღე თავის კლასობრივ შეგნების ამაღლებისა და ბრძოლის საქმეში.

ეს დღესასწაული საქართველოში წამოიწყო თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯგუფმა, რომელსაც დიდი **სტალინი** მეთაურობდა. პირველად იგი ჩატარებული იქნა 1898 წელს ყოფ. ნაძალადევის მახლობლად პატარა შეკრებილობის სახით, რომელსაც 35-დე მონაწილე დაესწრო და სადაც წარმოითქვა ამ დღესასწაულთან დაკავშირებული სიტყვები. მეორეჯერ ეს დღესასწაული იმავე ადგილზე მოეწყო 1899 წელს და უფრო მეტი ხალხიც დაესწრო.

ასევე ფარულად მოეწყო პირველი მაისობა თბილისში მლაშე-ტბის რაიონში 1900 წლის 23 აპრილს (ძველი სტილით) 400—500 მუშის მონაწილეობით. დღესასწაულში მონაწილეებმა, რომლებიც გამოვიდნენ **მარქს-ენგელსის** პორტრეტებით და რევოლუციური ლოზუნგებით მოაწყეს მიტინგი. „მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდა ამხანაგი სტალინი და მოუწოდა მუშებს მეფისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ".

ამ საპირველმაისო გამოსვლამ შემდეგ ბიძგი მისცა თბილისის მუშათა საგაფიცვო მოძრაობას და რევოლუციურ ბრძოლას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამხანაგი **სტალინის** პირადი ხელმძღვანელობით ჩატარებული 1901 წლის 22 აპრილს სალდათის ბაზარში ყოფილ ალექსანდროვის ბაღის რაიონში გამართული აშკარა დემონსტრაცია ორიათასამდე მუშის მონაწილეობით. დემონსტრაციას თავს დაესხა პოლიცია და ყაზახთა რაზმი, მოხდა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც დაიჭრა 14 მუშა დააპატიმრეს 50-ზე მეტი დემონსტრანტი.

როგორც ამხანაგი **ლ. პ. ბერია** აღნიშნავს ეს „დემონსტრაცია დიდ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა და უდიდესი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა მთელ კავკასიაზე".

თბილისის დემონსტრაციის შესახებ ლენინური „ისკრა" 1901 წელს სწერდა:

„ის ამბავი, რომელიც კვირას 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის; ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა" („ისკრა" № 6. 1901 წ.).

1902 წელს თბილისში საპირველმაისო გამოსვლებს ხელი შეუშალა სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის და ხელმძღვანელ აქტიურ მუშაკების წინასწარ მასობრივმა დაპატიმრებამ (ამხანაგი სტალინი იმყოფებოდა პატიმრობაში — ბათუმში).

1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში 1 მაისობის დღესასწაულს ატარებდნენ არამარტო თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის მუშები აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების, დაბების და ზოგიერთი სოფლების მშრომელებიც. რუსეთში გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა 1 მაისობის დღესასწაულს 1905—1906 წლებში. რეაქციის პერიოდში კი თვითმპყრობელობის მძლავრი შემოტევის გამო შეიკვეცა ამ დღესასწაულის ფარგლები. მთელ რიგ ადგილებში მაისობა ფარულად ტარდება ცალკე მუშათა და მშრომელთა ჯგუფების მიერ, ზოგან პროკლამაციებითაც კმაყოფილდებოდნენ.

1912—1913 წლებში კვლავ დაიწყო რევოლუციური აღმავლობა და გაძლიერდა საპირველმაისო გამოსვლებიც, რაც დროებით შეაფერხა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა და რასაც საბოლოოდ ფართე გაქანება მისცა საბჭოთა წყობილების დამყარებამ.

# პრესის ისტორიიდან

საგაზეთო ცხოვრება კაპიტალისტური ეპოქის პირმშოა. თანამედროვე პერიოდული პრესა წარმოიშვა მე-17 საუკ. დასაწყისში, თუმცა მისი წინამორბედნი ჩაისახენ შორეულ წარსულში. ძველ რომში იულიოს კეისარის დროს სწარმოებდა პერიოდული საინფორმაციო ორგანოს გამოცემა. ამ „გაზეთებს“ მრავალ ეგზემპლიარებად აწერინებდნენ და პატრიციებს შორის ავრცელებინებდნენ მონებს.

შემდეგი ნაბიჯი გადადგმულ იქნა საშუალო საუკუნეების მიწურულს ვენეციაში, რომელიც მაშინ მსოფლიო ვაჭრობის და პოლიტიკის ცენტრი იყო. აქ დაიწყო ახალი ამბების გავრცელება ფურცლებით, რომელიც იყიდებოდა ნაღდ ფულად — gazetta-დ, შემდეგში ფულის ეს სახელი გადავიდა თვით საინფორმაციო ფურცელზე. აქედან წარმოიშვა პერიოდული გამოცემის თანამედროვე სახელწოდება: გაზეთი.

თანამედროვე გაზეთს უფრო მეტად ემსგავსებოდა ის ორგანო, რომლის გამოცემაც ჩინეთში პეკინში, დაიწყო 911 წელს, ამ ორგანოს „კინგ ჰპოა“ („დედაქალაქის უწყებანი“) ეწოდება. იგი დღემდეც იცემა და ამგვარად არსებობს უკვე ათას წელზე მეტია.

მე-17 საუკუნ. ვაჭრობისა და ბეჭდვითი ტექნიკის განვითარების მეოხებით დასავ. ევროპაში უკვე ჩნდება ყოველკვირეული გაზეთები: შვეიცარიაში — 1610 წ. საფრანგეთში — 1631 წ., — ინგლისში — 1702 წ., — გერმანიაში — 1710, იტალიაში, 1716 წ. ამავე ხანებში ჩნდება რუსეთში პერიოდული პრესა. ამ პირველ პერიოდულ ორგანოს თვით პეტრე პირველი რედაქტორობდა.

პერიოდული პრესა ამ პერიოდში ძირითადად საყოფაცხოვრებო, მეურნეული, რელიგიური, ლიტერატურული ინფორმაციის ორგანო იყო. მხოლოდ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციიდან მოყოლებული ღებულობს გაზეთი პოლიტიკურ ხასიათს.

საგაზეთო ცხოვრების აყვავება დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან. მაგრამ კაპიტალიზმმა პრესა გადააქცია თავის იარაღად.

ბურჟუაზიული ქვეყნების პრესა კაპიტალისტური სარეწავია; იგი გაბატონებული კლასებისა და პარტიების პოლიტიკურ და მეურნეულ ინტერესებს ემსახურება; იქ პრესის მუშაკთა დიდი უმრავლესობაც ბურჟუაზიის დაქირავებულ ლაქიას წარმოადგენს.

* *
*

მაგრამ დღეს არ არის თითქმის არცერთი ქვეყანა, სადაც ლეგალურად თუ არალეგალურად არ გამოდიოდეს კომუნისტური პრესა, რომლის როლი და მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში გენიალური **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით შეიქმნა სავსებით ახალი ტიპი პერიოდული მასობრივი პრესისა, რომელიც უძლიერესი იარაღია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და კომუნიზმის მსოფლიო ისტორიული გამარჯვების საქმეში.

# იზრდება მეცნიერ მუშაკთა ახალგაზრდა კადრები

ჩვენს უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისათვის შექმნილია ყოველგვარი პირობები ისწავლონ, დააგროვონ ცოდნა, დაეუფლონ მოწინავე მეცნიერებას და მთელი ენერგია მოახმარონ ახალგაზრდა კადრების აღზრდას. მათ აქვთ ფართო გასაქანი მუშაობისათვის.

ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებზე დიდი ზრუნვისა და დახმარების შედეგად უკანასკნელ ორი ხუთწლედის — მანძილზე უნივერსიტეტში აღიზარდა ათეულები ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისა, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

ისინი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, სწერენ სახელმძღვანელოებს, შრომებს, გამოკვლევებს და მით დაუფასებელ სამსახურს უწევენ ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს. ასეთებია დოცენტები: მ. ჩხეტია, ა. კიკვიძე, პ. ხელაძე, ვ. კაკაბაძე, მ. ჩიქოვანი, ტ. რუხაძე, ი. მირცხულავა, თ. ჭაია, ნ. ტყეშელაშვილი, შ. ძიძიგური, ა. სამსონია, ი. გვერდწითელი, ვ. ბურჯანაძე, ოლია ჭანუყვაძე და მრავალი სხვა.



**ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ერთი ჯგუფი**

**სურათზე:** მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში შ. ძიძიგური, პ. ხელაძე, ნ. ტყეშელაშვილი, ა. კიკვიძე, მეორე რიგში ი. მირცხულავა, მ. ჩიქოვანი, თ. ჭაია, ტ. რუხაძე.

# წარმატებით ვხვდები დიად დღესასწაულს

ლენინ-სტალინის სახელობის პარტიამ სტუდენტობას ყოველმხრივ საუკეთესო პირობები შეგვიქმნა მოწინავე მეცნიერების დაუფლებისათვის. ახლა თითეული სტუდენტის საბრძოლო ამოცანაა ფრიადზე სწავლით უპასუხოს პარტიისა და მთავრობის ამ უდიდეს ზრუნვას, ამიტომ მე უნივერსიტეტში შემოსვლისთანავე საბრძოლო ამოცანად დავისახე მესწავლა ფრიადზე და უკვე 4 წელია ფრიადოსანი ვარ.

პირველი კურსიდანვე ვამუშავებ საგნებს ლიტერატურის მაქსიმუმით, სისტემატურად ვესწრები ლექციებს და ვახდენ მის ჩაწერას, რის შედეგად 4 წლის განმავლობაში 34 საგნიდან მხოლოდ 1 საგანი ჩავაბარე კარგზე, დანარჩენი კი ფრიადზე.

სპეციალური საგნების შესწავლასთან ერთად დაუღალავად ვმუშაობ იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლისთანავე ენერგიულად მოვკიდე ხელი ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას. ამჟამად ვმუშაობ მე-4 თავზე, რომელიც ყველაზე რთულია და მეტ მუშაობას მოითხოვს.

რომ მეტად დაეუფლო მეცნიერებას აუცილებელია უცხო ენის შესწავლა. უკვე შევუდექი ინგლისური ენის შესწავლას და ჩემი მიზანია ახლო ხანში დედანში წავიკითხო შექსპირის ნაწარმოები.

ამას გარდა აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ საზოგადოებრივ მუშაობაში.

მე მახარებს ის გარემოება, რომ ასეთი წარმატებით ვხვდები პროლეტარიატის საერთაშორისო დიად დღესასწაულს — 1 მაისს.

**შ. შავიანიძე.**
**ფრიადოსანი სტუდენტი.**

დოც. პ. გუგუშვილი

# ქართული ბოლშევიკური გაზეთები

ქართული ბოლშევიკური პრესის ისტორია იწყება მიმდინარე საუკუნის გარიჟრაჟზე. არალეგალური გაზეთი — „ბრძოლა“, რომლის პირველი ნომერი 1901 წლის სექტემბერს გამოიცა იყო პირველი ლენინურ-ისკრული ქართული გაზეთი.

გაზეთ „ბრძოლას“ — თბილისის სოციალ დემოკრატიის ორგანოს — ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოში სცემდა ლადო კეცხოველი. ამ გაზეთის მხოლოდ 4 ნომერი გამოიცა, მაგრამ მაინც იგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

„ბრძოლა“ ქადაგებდა რათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადასულიყვნენ მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, სათავეში ჩადგომოდნენ მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

როგორც ამხანაგ ლ. პ. ბერია სწერს გაზეთ „ისკრის“ იდეა ფართო პოლიტიკური აგიტაციისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საფუძველზე ერთიანი რევოლუციური პარტიის მოწყობის შესახებ, გაზეთმა „ბრძოლამ“ თავის სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა.

გაზეთ „ბრძოლის“ შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც გამოდიოდა 1903—1905 წლებში და გამოიცა სულ 12 ნომერი. ეს გაზეთი წარმოიშვა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი ყრილობის შემდეგ, რომელმაც მიიღო დადგენილება ქართული „ბრძოლისა“ და სომხური „პროლეტარის“ გაერთიანების შესახებ. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლა“ გამოდიოდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე; ამ გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ალ. წულუკიძე და სტ. შაუმიანი.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლა“ აგრძელებს გაზეთ „ბრძოლის“ ტრადიციას. ამ გაზეთში იბეჭდება ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სახელმძღვანელო წერილები, რომლებშიაც, სხვათა შორის, მოცემულია სტიქიურობის მენშევიკური ოპორტუნისტული თეორიის განმანადგურებელი კრიტიკა. ამხანაგ სტალინმა მოგვცა მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანისა და რევოლუციური თეორიის მუშათა მასობრივ მოძრაობასთან შეერთების შესახებ ლენინის თეზისების შემძგომი განვითარება.

„ახალი ცხოვრება“ იყო ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი. იგი გამოდიოდა 1906 წ. ივნის-ივლისში და გამოიცა სულ 20 ნომერი. გაზეთს ამხანაგ სტალინი ხელმძღვანელობდა. სტალინის სტატიები („პროფესიონალური კავშირები თბილისში“, „კლასთა ბრძოლა“, „რეორგანიზაცია თბილისში“) და მრავალი სხვა აქ იბეჭდებოდა უმეტესად „კობას“ ფსევდონიმით.

1906—1907 წლებში გამოდის ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი „ახალი დროება“, რომლის სულ 9 ნომერი გამოიცა. „ახალ დროებაში“ „კო“-ს ფსევდონიმით მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მრავალი სტატია, როგორც პარტიული მშენებლობისა, ისე თეორიული საკითხების შესახებ.

„ახალი დროება“ დაიხურა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით. ამის შემდეგ 1907 წლის 11 მარტიდან 15 აპრილამდე გამოდის ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი — „დრო“. „დროს“ უშუალოდ სტალინი ხელმძღვანელობდა; ეს გაზეთი გამოდიოდა რეაქციის ხანაში.

გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“ იყო ყოველდღიური ორგანო, გამოდიოდა 1907 წლის თებერვალ-მარტში. სულ გამოიცა 13 ნომერი. ამხანაგ სტალინის („კო“, „კობა“) მთელ რიგ სახელმძღვანელო სტატიებიდან, რომლებიც აქ თავსდებოდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ანარხიზმი თუ სოციალიზმი“ (რომლის გაგრძელება გაზ. „ახალი დროებას“ დახურვის შემდეგ იბეჭდებოდა „ჩვენი ცხოვრებაში“), სადაც ამხანაგი სტალინი იძლევა რევოლუციური მარქსიზმის შემდგომ გენიალურ განვითარებას.

## კრება მაღალი აქტივობით ჩატარდა

20 აპრილს შესდგა თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი პარტორგანიზაციის ღია კრება მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების განხილვისადმი.

კრებას დაესწრო კომუნისტები, აგრეთვე კომკავშირული და უპარტიო აქტივი, სულ 489 კაცი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი ამხ. **დ. ყიფშიძე.** იგი ლაპარაკობს ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის მუშაობასა და გადაწყვეტილებებზე, ყრილობის რომელიც უდიდეს ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს პარტიის და ქვეყნის ცხოვრებაში.

ამხანაგმა **სტალინმა** თავის მოხსენებაში მოგვცა სახელმწიფოს შესახებ **მარქსისტულ-ლენინური** მოძღვრების შემდგომი ღრმა მეცნიერული განვითარება. დიდი **სტალინის** მოხსენება, —ამბობს მომხსენებელი, განსაზღვრავს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებასა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გზას.

მოხსენების გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ.: **გ. ბერიაშვილი, ბ. კვარაცხელია,** პროფ. **ს. ბერაძე, პ. ახალაძე,** დოც. **შ. შარაშენიძე, ვ. სიგუა, ს. მანთაშევი და სხვა.**

სიტყვებში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე და უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ამოცანებზე ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

პარტიულმა კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, სადაც სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებებს. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პარტიული ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას მაქსიმალური დახმარება გაუწიოს მთელ სტუდენტობას და პროფესორ მასწავლებლებს **მარქსიზმ-ლენინიზმის** დაუფლების საქმეში, რისთვისაც მოეწყობა ხარისხიანი ლექციები და კონსულტაციები. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ყველა სტუდენტმა საგანი **მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები** ჩააბარონ კარგზე და ფრიადზე.

შევქმნით ყოველგვარ პირობას და ვიძრძოლებთ იმისათვის, რომ გამარჯვებული გამოვიდეთ კიევის უნივერსიტეტთან შეჯიბრებაში.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლის კიდევ უფრო ამაღლებით ერთსულოვნად ვიბრძოლებთ ყველა ჯურის მტრების ნაძირალების გამომჟღავნებისა და ლიკვიდაციისათვის.

**ი. ჩხეტიანი.**

## მთვარის სრული დაბნელება

3 მაისს მოხდება მთვარის სრული დაბნელება. დაბნელება დაიწყება ექვსის ნახევარზე და დამთავრდება 8 ს. 55 წუთზე. დაბნელება გამოჩნდება, ავსტრალიაში, სამხრეთის ყინულოვან ოკეანეზე, ინდოეთის ოკეანეზე, აზიაში და აღმოსავლეთ ევროპაში.

**ფიზიკა-მეთემატ. ფაკ-თან არსებული სტუდენტთა ასტრონომიული სამეცნიერო წრე.**



**ჩვენი გაზეთის უახლოესი თანამშრომლები**

**სურათზე:** მარცხნიდან მარჯვნივ პროფ. კ. კაპანელი, დოც. ა. მურახაშვილი, დოც. პ. გუგუშვილი.

## ახალი სამეცნიერო წრე

ფილოლოგიის ფაკულტეტზე დღემდე არ იყო ქართული ფოლკლორის შემსწავლელი წრე. ამდღეებში ჩამოყალიბდა ასეთი წრე. მასში ჩაბმულია ქართული ფოლკლორის შესწავლით დაინტერესებული 76 სტუდენტი.

წრე გარდა იმისა, რომ მოისმენს სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებს აგრეთვე იმუშავებს ძვირფასი ფოლკლორული მასალების შესაგროვებლად.

წრეს განზრახული აქვს თავის წევრთა მიერ შეკრებილი ფოლკლორის მასალების გადამუშავება და წიგნად გამოშვება.

**ტ. სიჭინავა.**

## სამეცნიერო ნაწილის ხაზით

ორი მოძმე რესპუბლიკის უნივერსიტეტებს შორის სოციალისტურმა შეჯიბრებამ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი ენთუზიაზმით ჩააბა ფრიადოსნობის, საუკეთესო სახელმძღვანელოს შედგენის, კარგი ლექციისა და მეცნიერული მუშაობის გაშლისათვის ბრძოლაში.

კიევის შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეჯიბრების საფუძველზე დამუშავებულ იქნა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ერთიანი ფორმა კათედრებისა და კათედრის თითეულ წევრისათვის, და ამჟამად არსებობს საერთო საუნივერსიტეტო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმა. ყველა მეცნიერ მუშაკს აქვს დავალება და ეწევა მეცნიერულ მუშაობას. უნივერსიტეტი ყოველდღიურ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. მოსკოვში, ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მეცნიერული მივლინება მიიღო 38 კაცმა. წლის ბოლომდე სამეცნიერო მივლინებაში გაიგზავნება 82 კაცი.

მიმდინარე სასწავლო წელს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე დისერტაცია დაიცვა 24 კაცმა, დოქტორის ხარისხზე 3. გამომუშავებული იქნა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონკურსის პირობები საუკეთესო სამეცნიერო კვლევითი ნაშრომზე.

ამჟამად უნივერსიტეტში ირიცხება 183 ასპირანტი. ასპირანტები უზრუნველყოფილი არიან ინდივიდუალური გეგმებით. უფროსი კურსების ასპირანტებისათვის სადისერტაციო თემები დამტკიცებულია. თითეული ასპირანტი მიმაგრებულია ხელმძღვანელზე.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე ბოლშევიკურად იბრძოლებს „მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რომელიც მომსახურეობას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“. (სტალინი).

**პროფ. გ. ხაჭაპურიძე.**

**უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში.**

## წარმატებით ჩავატაროთ პრაქტიკა

ბიოლოგიის ფაკულტეტმა დროულად დაიწყო სამზადისი მუშაობა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის. კათედრები უზრუნველყოფილია პრაქტიკის გეგმებით, პროგრამებით და საჭირო თანხებით. შერჩეულია მეცნიერ მუშაკთაგან პრაქტიკის ხელმძღვანელები და სხვა.

ბოტანიკის კათედრამ წინასწარ გაითვალისწინა ყველა ის ვალდებულებანი, რაც ნაკისრია კიევის უნივერსიტეტთან შეჯიბრებით და პრაქტიკის წარმატებით ჩატარების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ზოოლოგიის კათედრასთან.

აკადემიური და საწარმოო პრაქტიკის წარმატებით ჩასატარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკისათვის საჭირო მასალის დროულად შეძენას. ამ მხრივ ჩვენთან არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. საჭიროა შეძენილ იქნეს საჰერბარიო ბადეები (პაპკები), აბგები, ზურგის ჩანთები, საჰერბარიო ქაღალდი, თოკი, ქაფჩები, ბრეზენტები, კლიონკა, თერმოსები, ვედროები და სხვა. თუ სტუდენტობა წინასწარ არ იქნა მომარაგებული ამ საჭირო მასალით, პრაქტიკა შეფერხდება და არ ჩატარდება ნორმალურად.

უნივერსიტეტის მომარაგების სექტორს კი ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოაგონეს ამის შესახებ.

სტუდენტთა ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ მომავალი წლის პრაქტიკის გეგმაში გათვალისწინებული იქნას 2 კვირიანი საწარმოო პრაქტიკა კახეთში (ლაგოდეხის რაიონში). მათი მოთხოვნა რესპონდენტმა პროფ. ა. შანიძემ და უეჭველად სამართლიანია, რადგან პრაქტიკის გავლის შემდეგ მათ სრული წარმოდგენა ექნებათ საქართველოს ფლორასა და ფაუნაზე, გაეცნობიან კახეთის გეოგრაფიულ მდებარეობას და სხვა.

ვფიქრობ ამ საქმიან წინადადებას დროულად გამოეხმაურება, როგორც კათედრები, ისე ფაკულტეტის ხელმძღვანელობა.

**გ. მთვარაძე.**



**სურათზე:** მარცხნიდან მარჯვნივ) დგანან გ. ძიგვაშვილი, ვ. სულაბერიძე, გ. ჭაბუშანური, ი. ნონეშვილი, ა. თევზაძე. სხედან ალ. საჯაია, რ. მარგიანი, ლ. ბალიაური, კ. ხიმშიაშვილი, ასპირანტი ნ. ტატიშვილი (მომხსენებელი), ვლ. უბილავა.

## ახალგაზრდა მწერლების საღამო

ამდღეებში უნივერსიტეტის კლუბში ფილოლოგიის ფაკულტეტის ინიციატივით მოეწყო ამავე ფაკულტეტის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი საღამო.

ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა **ნ. ტატიშვილმა.**

ახალგაზრდა მწერლებს მხურვალე სიტყვით მიმართა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. **ა. შანიძემ** და მწერალთა კავშირის სახელით ორდენოსანმა პოეტმა **ირ. აბაშიძემ.**

საღამომ დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

## მკითხველთა საყურადღებოდ

გაზეთ **„ბოლშევიკური კადრებისათვის“** ა. წ. 5 მაისიდან სწყვეტს გამოსვლას.

**რედაქცია.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გრ. ხურცილავა**

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია. მარის ქ. № 1. ტირაჟი 3.000 მთავლიტის რწმ. № 978